ხელშეკრულება № 3
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 3 სექტემბერი 2015 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის **„ს[1]"** ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ **შპს „ჰიგიენა 2009"** (შემდგომში -შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი ცეცხლაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ალფა +"** (შემდგომში _ მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნუგზარ კვაჭაძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი.

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მოთხოვნის მიხედვით, მიმწოდებლის მიერ კომპიუტერული ტექნიკისა და მოწყობილობების მდომარეობის, ხარისხის შემოწმება (შემოწმების შედეგად დადგინდება შესაძლებელია თუ არა კომპიუტერული ტქენიკის/მოწყობილობების ექსპლოატაციაში მიღება და მათი სრულყოფილად გამართული ფუნქციონირება), ასევე, საინფორმაციო-ტექნოლოგიური მხარდაჭერის მიწოდება, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი კომპიუტერული პროგრამების ინსტალირება (შემდგომში - „მომსახურება"), შესყიდვა ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1 -ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
1.2 კლასიფიკატორის კოდი: CPV 72500000- კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურებები.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში – ლარში.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს შეადგენს 120 (ასოცი) ლარს.
2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მომსახურების ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. მომსახურების მიწოდების ვადა

4.1 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 გაწეული მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერით.
5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებას განახორციელებს შპს „ჰიგიენა 2009"-ს დირექტორი ირაკლი ცეცხლაძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების საფასურის შესაბამისად.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისად, წარმოდგენილი შესაბამისისი საგადასახადო დოკუმენტაციის/ ინვოისისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების პირობებისა და ვადების დარღვევის, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან.
8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები

შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების პირობების შერულების კონტროლი

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების შესახებ, წუნდების მიზეზების მითითებით.
13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.4 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შერულების კონტროლს განახორციელებს შპს „ჰიგიენა 2009"-ს დირექტორი ირაკლი ცეცხლაძე.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	**„მიმწოდებელი"**
შპს „ჰიგიენა 2009"	შპს „ალფა +"
მის. ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ., № 21	მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№18 ბ.1
სს „კორ სტანდარტ ბანკი" ბანკის კოდი KSBGGE22	ს.ს "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE98KS0000000340800017	ა/ა GE70BG0000000885080900
ს/კ 245626684	ს/კ 445392110
დირექტორი	დირექტორი
ირაკლი ცეცხლაძე	ნუგზარ კვაჭაძე

დანართი №1

ფასების ცხრილი

#	CPV კოდი და დასახელება	მომსახურების დასახელება	ზომის ერთეული	მაგიდის კომპიუტერების/ ლეპტოპების საერთო რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	CPVკოდი 72500000 კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურებები	სტანდარტული პერსონალური (მაგიდის, დესკტოპი) და სტანდარტული პორტაბელური /სატარებელი (ლეპტოპი) კომპიუტერების, მათთან დაკავშირებული მოწყობილობების მდომარეობის, ხარისხის შემოწმება (შემოწმების შედეგად დადგინდება შესაძლებელია თუ არა კომპიუტერული ტქენიკის/მოწყობილობების ექპსლოატაციაში მიღება და მათი სრულყოფილად გამართული ფუნქციონირება), ასევე, საინფორმაციო-ტექნოლოგიური მხარდაჭერის მიწოდება, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი კომპიუტერული პროგრამების ინსტალირება	ცალი	6	20,00	120,00
ჯამი			**ლარი**			**120,00**

შპს „ჰიგიენა 2009“

დირექტორი

ირაკლი ცეცხლაძე

შპს „ალფა +“

დირექტორი

ნუგზარ კვაჭაძე